შეხვედრის ოქმი
15 მარტი, თელავი

ღია მმართველობა საქართველო
საჯარო კონსულტაციები 2014

ქალაქ თელავში ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაცია საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრსა და თელავის უნივერსიტეტში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

შეხვედრის ფარგლებში იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა რუსუდან მიხელიძემ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენელმა ლევან ავალიშვილმა შეკრებილ საზოგადოებას გააცნეს მთავრობის ის ინიციატივები, რომელთა მიზანია მთავრობის ღიაობის, გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდა და რომლებიც დაგეგმილია, რომ ვალდებულებების სახით ჩაიდოს ღია მმართველობა საქართველოს 2014–2015 წლის სამოქმედო გეგმაში.

შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

- შეხვედრის მონაწილეთა აზრით, საჭიროა საჯარო სამსახურში, განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე დასაქმების მსურველთა შესარჩევი მკაცრი კრიტერიუმების დაწესება, კონკურსის პირობების, საკონკურსო კომისიის წევრთა შესახებ ინფორმაციის ღიაობა და მიღებული გადაწყვეტილების გაცნობა კონკურსის მონაწილეებისთვის. შეხვედრის დამსწრეები თვლიან, რომ კომპეტენტური კადრების შერჩევის აუცილებელი წინაპირობაა გამოსაცდელი ვადის დაწესება. კონკურსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, გამოითქვა ინიციატივა, რომ განხორციელდეს ინტერვიუების ჩაწერა და საჭიროების შემთხვევაში მათი გამოქვეყნება, რაც შესაძლებელს გახდის მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურობის შეფასებას.

- შეხვედრის მონაწილეებს საჭიროდ მიაჩნიათ კერძო საკუთრების რეგისტრაციის წესის გამარტივება და არსებული ხარვეზების გამოსწორება, მათ შორის გაერთიანებული რეგისტრაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა და რეგისტრაციის პროცესში საინვენტარიზაციო გეგმის (საარქივო დოკუმენტების) გათვალისწინება მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ. ამასთანავე, მოსახლეობა თვლის, რომ უშუალოდ მარეგისტრირებელი ორგანო უნდა იღებდეს პასუხისმგებლობას დაშვებული ხარვეზების გამოსწორებაზე.

- შეხვედრის მონაწილეები მიესალმნენ მთავრობის გეგმას განხორციელდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი.

- მოსახლეობამ ისაუბრა სახელმწიფო სერვისების ტარიფებზე. შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს იდეა, სახელმწიფომ დააწესოს სპეციალური, დაბალი ტარიფები გაცვლითი პროგრამებით საზღვარგარეთ წამსვლელი სტუდენტებისთვის, რომელთაც პასპორტის აღება სჭირდებათ.

- შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი თელავის იუსტიციის სახლში ხელმისაწვდომი გახდეს ნოტარიუსთა მომსახურება.

- პროფესორ-მასწავლებლებმა ისაუბრეს სატენდერო პირობების დახვეწისა და მცირე უნივერსიტეტებისთვის სპეციალური დამატებითი რეგულაციების დაწესების აუცილებლობაზე, რაც მათი აზრით, გაამარტივებს შესყიდვების პროცესს (დღევანდელი მდგომარეობით, ტენდერის გზით და დადგენილი წესით ვერ ხერხდება სახელმძღვანელოების დროულად შეძენა, რაც იწვევს სასწავლო პროცესის დადგენილი ვადების ცვლილებას და რიგ შემთხვევებში, შეფერხებას).

- პროფესორ-მასწავლებლების აზრით, მნიშვნელოვანია, სტუდენტებისთვის (განსაკუთრებით საჯარო მმართველობის ფაკულტეტი) არსებობდეს სტაჟირების, ტრენინგებისა და პრაქტიკული სწავლების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა საჯარო დაწესებულებებში.

- მოქალაქეები ასევე მიიჩნევენ, რომ ინფორმაცია საჯარო ფინანსების განკარგვის შესახებ უნდა იყოს მაქსიმალურად ღია. აღინიშნა, რომ მოქმედებს ინფორმაციის ღიაობის ორმაგი სტანდარტი (ბიუჯეტის, თვითმმართველობის ხარჯები არ არის საჯარო - სოციალური მომსახურების სააგენტოს მაგალითზე). მოსახლეობა თვლის, რომ უმნიშვნელოვანესია ღია იყოს ინფორმაცია სოციალური დახმარებების შესახებ.

- შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ტერიტორიული ორგანოებიდან ხშირად ვერ ხერხდება საჯარო ინფორმაციის დადგენილ ვადებში მიღება. ისინი თვლიან, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შტატი აუცილებელია არსებობდეს საჯარო უწყებების ტერიტორიულ ორგანოებშიც.

- შეხვედრაზე მოკლედ მიმოიხილეს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი და მისი სისტემა. შეხვედრის მონაწილეების აზრით, სასურველია, ნორმატიული აქტები განთავსდეს კატეგორიების მიხედვით, რათა გამარტივდეს დოკუმენტების მოძიება.

- შეხვედრაზე გამოიკვეთა, რომ ძირითადი პრობლემა, რომელსაც მოქალაქეები აწყდებიან ინფორმაციის ნაკლებობაა, რაც თავის მხრივ გამოწვეულია რეგიონებში ინტერნეტის დაბალი მიწოდებით ან რიგ შემთხვევებში - არარსებობით. შესაბამისად, მოსახლეობა თვლის, რომ საჭიროა ინფორმაციის ალტერნატიული გზებით გავრცელება. შემოთავაზებულ იქნა იდეა, თითოეულ სოფელში, სოფლის ცენტრში,

მოეწყოს საინფორმაციო დაფები, სადაც გამოქვეყნდება ნებისმიერი ინფორმაცია, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა, მათ შორის ვაკანსიების, საჯარო შეხვედრების, კრებების შესახებ და სხვა.

- შეხვედრის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს საზოგადოებრივი ცენტრები; მათი აზრით, მნიშვნელოვანია ასეთი ცენტრების არსებობა მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში, რათა მოქალაქეებისთვის სერვისები დროის და ფინანსური თვალსაზრისით თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს;

- შეხვედრის მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი ადგილობრივმა თვითმმართველობებმა საკუთარი ვებგვერდებისა და ადგილობრივი ტელევიზიების მეშვეობით გაავრცელონ ინფორმაცია საკრებულოს სხდომების დღის წესრიგის შესახებ.

- მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია საჯარო განხილვების პრაქტიკის დანერგვა - მოქალაქეები მიიჩნევენ, რომ მუნიციპალიტეტის დონეზე გადაწყვეტილებების მიღება (მაგ. ამა თუ იმ ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით) უნდა მოხდეს საჯარო განხილვების საფუძველზე.